საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1625

ქ. თბილისი

09/12/2021

„შპს „დენოლა“-ს ქიმიური ნივთიერების წარმოებაზე (აქაფებული პოლიურეთანის (ღრუბლის) წარმოება) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 2 დეკემბრის №ი-934 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 16 ნოემბერს სამინისტროს მომართა შპს „დენოლას“ დირექტორმა და ითხოვა 2015 წლის 30 ნოემბერს გაცემული №70 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.
2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „დენოლას“ ქიმიური ნივთიერების წარმოებაზე (აქაფებული პოლიურეთანის (ღრუბლის) წარმოება) გაიცა №4 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „დენოლას“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „დენოლა“-ს ქიმიური ნივთიერების წარმოებაზე (აქაფებული პოლიურეთანის (ღრუბლის) წარმოება) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 2 დეკემბრის №ი-934 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „დენოლას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „დენოლას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი